
საქართველოს გარემოსდაცვითი
კანონმდებლობის ევროკავშირის
კანონმდებლობასთან
კონვერგენცია

სახელმძღვანელო საზოგადოებრივი
ორგანიზაციებისა და
აქტივისტებისთვის

მწვანე ალტერნატივა

დეკემბერი, 2013

პუბლიკაცია მომზადდა და გამოიცა „მწვანე ალტერნატივას“ პროექტის „ევროპის სამეზობლო პოლიტიკასთან დაკავშირებულ პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გაძლიერება“ ფარგლებში. მწვანე ალტერნატივა მადლობას უხდის ევროკავშირს პროექტის ფინანსური მხარდაჭერისთვის.

ამ გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს ევროკავშირის შეხედულებათა ამსახველად.

© მწვანე ალტერნატივა, 2013

ავტორი: ნინო ანთაძე

ასევე წვლილი შეიტანა: ქეთი გუჯარაიძემ

შინაარსი

| | |
|--|----|
| შესავალი..... | 3 |
| 1. ევროკავშირის კანონმდებლობა | 3 |
| 1.1 ძირითადი კანონმდებლობა | 3 |
| 1.2 მეორადი კანონმდებლობა | 4 |
| 2. ევროკავშირის ინსტიტუტები..... | 5 |
| 3. ასოცირების შეთანხმება | 6 |
| 3.1 რა არის ასოცირების შეთანხმება? | 6 |
| 3.2 ასოცირების შეთანხმება და გარემოს დაცვა | 6 |
| 3.3 ასოცირების შეთანხმება და საქართველო..... | 7 |
| 4. რა არის კონვერგენცია..... | 8 |
| 5. ევროკავშირის ჰორიზონტული და სექტორული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა..... | 10 |
| 6. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ევროკავშირის ჰორიზონტულ გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან | 13 |
| 6.1 ინფორმაციის ხელმისაწვდომობა..... | 13 |
| 6.2 გარემოზე ზემოქმედების შეფასება | 15 |
| 6.3 სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება | 17 |
| 6.4 საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში..... | 20 |
| 6.5 ანგარიშგება..... | 21 |
| 7. კონვერგენციით მიღებული სარგებელი..... | 22 |
| 7.1 ჰორიზონტული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა..... | 22 |
| 7.2 სექტორული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა..... | 23 |
| ლიტერატურა..... | 26 |

ცხრილები

| | |
|---|----|
| ცხრილი 1. ევროკავშირის ძირითადი ხელშეკრულებები | 3 |
| ცხრილი 2. ევროკავშირის სექტორული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა | 11 |
| ცხრილი 3. 2012 წელს გზმ-ს ჩატარებისგან გათავისუფლებული პროექტები..... | 17 |

ნახატები

| | |
|--|----|
| ნახატი 1. კანონმდებლობის მიღების პროცედურა | 5 |
| ნახატი 2. კონვერგენციის პროცესის ძირითადი ეტაპები..... | 9 |
| ნახატი 3. გზმ ეტაპების შედარება საქართველოსა და ევროკავშირის შორის | 15 |
| ნახატი 4. განსხვავება სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებასა და | 18 |
| ნახატი 5. საზოგადოების მონაწილეობა გზმ-ს ჩატარების ეტაპებზე..... | 20 |
| ნახატი 6. საზოგადოების მონაწილეობა და გზმ პროცესის ძირითადი მონაწილეები..... | 21 |
| ნახატი 7. ანგარიშგების პროცედურას ევროკავშირში..... | 22 |

შესავალი

წარმოდგენილი სახელმძღვანელო განკუთვნილია მათთვის, ვინც დაინტერესებულია ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის საკითხებით, მათ შორის, ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და ასოცირების შეთანხმების ფარგლებში. მწვანე ალტერნატივა იმედოვნებს, რომ სახელმძღვანელო განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდება სამოქალაქო საზოგადოების იმ ორგანიზაციებისთვის, ასევე აქტივისტებისთვის, რომლებიც მუშაობენ ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის კონვერგენციის საკითხებზე, ადვოკატირებენ საქართველოში მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის გაუმჯობესებისთვის, ასევე საზოგადოების ინფორმირებისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მონაწილეობის დემოკრატიული პროცედურების დანერგვისა და განმტკიცებისთვის.

სახელმძღვანელოში თავდაპირველად ძალზე მოკლედაა განხილული აქტები, რომლებიც ერთობლივად ქმნიან ევროკავშირის კანონმდებლობას, ასევე გადაწყვეტილებების მიმღები ინსტიტუტები. მესამე თავში განმარტებულია, თუ რა ტიპის დოკუმენტია საქართველოსა და ევროკავშირის შორის დასადები ასოცირების შეთანხმება, რომლის პარაფირებაც 2013 წლის ნოემბერში აღმოსავლეთის პარტნიორობის ვილნიუსის სამიტზე მოხდა. აქვე, მოკლედაა მიმოხილული ასოცირების შეთანხმების ის ნაწილი, რომელიც გარემოსდაცვით საკითხებს ეხება. შემდგომ, მეოთხე თავში, ახსნილია კონვერგენციის პროცესი და მისი ეტაპები, რასაც მოსდევს მეხუთე თავში ევროკავშირის ჰორიზონტული და სექტორული გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მიმოხილვა - სწორედ ამ თავში განხილულ აქტებთან კონვერგენციის ვალდებულებას იღებს საქართველო, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით. მეექვსე თავში უფრო დეტალურადაა განხილული საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობა ჰორიზონტული გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ძირითადი თემების (ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასება, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება, საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ანგარიშგება) მიხედვით. დასასრულს, მეშვიდე თავში განხილულია ის სარგებელი, რომელსაც საქართველო მიიღებს ევროკავშირის ჰორიზონტულ და სექტორულ გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან კონვერგენციით.

1. ევროკავშირის კანონმდებლობა

ევროკავშირის კანონმდებლობა ორ ძირითად ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ:

1.1 ძირითადი კანონმდებლობა

ძირითადი კანონმდებლობის კატეგორიას ეკუთვნის ხელშეკრულებები (treaty), რომლებიც მიღებულია წევრი ქვეყნების მთავრობებს შორის მოლაპარაკებების საფუძველზე (იხ. ცხრილი 1). ხელშეკრულებები შემდეგ რატიფიცირებულია წევრი ქვეყნების პარლამენტების მიერ. იგივე პროცედურას ექვემდებარება ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილებებიც¹.

ცხრილი 1. ევროკავშირის ძირითადი ხელშეკრულებები

| სახელწოდება | მიზანი |
|---|--|
| რომის ხელშეკრულებები, 1957 (ძალაში შევიდა 1958 წელს) | ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანების შექმნა |

¹ ევროკავშირი, 2013ა

| | |
|---|---|
| ბრუსელის ხელშეკრულება, 1965 (ძალაში შევიდა 1967 წელს) | ევროპული ინსტიტუტების ჩამოყალიბება |
| ერთიანი ევროპული აქტი, 1987 | ევროკავშირის ინსტიტუტების რეფორმირება და გადაწყვეტილების მიღების პროცესის დაჩქარება ერთიანი ევროპული ბაზრის ჩამოყალიბებისათვის. |
| მასტრიხტის ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ, 1992 | მომზადება ევროპის სავალუტო კავშირის ჩამოყალიბებისათვის და პოლიტიკური კავშირის ელემენტების შემოღება (მოქალაქეობა, ერთიანი საგარეო და საშინაო პოლიტიკა). |
| ამსტერდამის ხელშეკრულება, 1997 (ძალაში შევიდა 1999 წელს) | ევროკავშირის ინსტიტუტების რეფორმირება, მომავალი წვერი ქვეყნების მიღების მოსაშზადებლად. |
| ნიცის ხელშეკრულება, 2001 (ძალაში შევიდა 2004 წელს) | ევროკავშირის ინსტიტუტების რეფორმირება იმისათვის, რომ 25 წვერი ქვეყნისგან შემდგარმა კავშირმა შეძლოს ეფექტურად ფუნქციონირება. |
| ლისაბონის ხელშეკრულება, 2007 (ძალაში შევიდა 2009 წელს) | ევროკავშირის დემოკრატიისა და ეფექტურობის გაზრდა, რათა შესაძლებელი იყოს ერთიანი ფრონტით ისეთი გლობალური პრობლემების გადაჭრაში მონაწილეობა, როგორც კლიმატის ცვლილება. |

წყარო: ევროკავშირი, 2013ა

ევროკავშირის ხელშეკრულებები განსაზღვრავენ ევროკავშირის ინსტიტუტების როლსა და ვალდებულებებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და იმ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო პროცედურებს, რომელსაც ექვემდებარება ევროკავშირის კანონმდებლობის შემუშავება, მიღება და განხორციელება².

1.2 მეორადი კანონმდებლობა

მეორადი კანონმდებლობა ეყრდნობა ევროკავშირის ხელშეკრულებებს და სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, განსაზღვრავს კონკრეტულ პროცედურებს. მეორადი კანონმდებლობა შემდეგი ტიპის აქტებისგან შედგება³:

1. **რეგულაციები** შესასრულებლად სავალდებულოა ევროკავშირის ყველა წვერი სახელმწიფოსათვის. რეგულაციის განსახორციელებლად არაა საჭირო შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის მიღება.
2. **დირექტივები** ავალდებულებს წვერ ქვეყნებს გარკვეული მიზნების მიღწევას, ხოლო ამ მიზნების მისაღწევად კონკრეტული გზებისა და საშუალებების დადგენა, წვერი ქვეყნების პრეპოზატივია. დირექტივების განხორციელება უნდა მოხდეს შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის საშუალებით.
3. **გადაწყვეტილებები** სავალდებულო ხასიათისაა მათთვის ვისაც ისინი ეხება. გადაწყვეტილებების განსახორციელებლად არაა საჭირო შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის მიღება. გადაწყვეტილებები შეიძლება ეხებოდეს კონკრეტულ ქვეყანას ან ყველა წვერ სახელმწიფოს, აგრეთვე, საწარმოებსა და კერძო პირებს.

² ევროკავშირი, 2013ა

³ ევროკავშირი, 2013ა


4. რეკომენდაციები და მოსაზრებები - ასეთი აქტები არის შესასრულებლად სავალდებულო.

2. ევროკავშირის ინსტიტუტები

ევროკავშირის კანონმდებლობის შემუშავებასა და მის მიღებაში მონაწილეობს სამი ძირითადი ინსტიტუტი:

1. **ევროპის პარლამენტი**, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის მოქალაქეებს. ევროკავშირის მოქალაქეები უშუალოდ ირჩევენ ევროპარლამენტის წევრებს.
2. **ევროპის კავშირის საბჭო**, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობებს.
3. **ევროპის კომისია**, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის საერთო ინტერესებს.

ევროკავშირის კანონმდებლობა ე.წ. „ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცედურით“ მიიღება. ეს პროცედურა გულისხმობს, რომ ევროკომისია წარმოადგენს ახალ კანონპროექტს, რომელიც შემდეგ განიხილება და მიიღება ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს მიერ. კანონმდებლობის ძალაში შესვლის შემდეგ, წევრი ქვეყნები ვალდებული არიან იგი შეასრულონ, ხოლო კანონმდებლობის შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს ევროკომისია⁴. იმ შემთხვევაში, თუკი წევრი ქვეყანა არ ასრულებს ევროკავშირის კანონმდებლობას, ევროკომისია შეიმუშავებს მის მოსაზრებას. თუკი წევრი ქვეყნის მხრიდან ევროკომისიის მოსაზრება რეაგირების გარეშე დარჩა, ევროკომისიას აქვს უფლება საქმე აღძრას ევროპის სასამართლოში. ევროკომისია, აგრეთვე, უფლებამოსილია თხოვოს ევროპის სასამართლოს, რომ ამ უკანასკნელმა წევრ ქვეყანას დააკისროს ფინანსური ჯარიმა ევროკავშირის კანონმდებლობის შეუსრულებლობისათვის⁵ (იხ. ნახატი 1).



ნახატი 1. კანონმდებლობის მიღების პროცედურა

ზემოაღწერილი პროცედურა კანონმდებლობის განხილვის დროს ევროპარლამენტსა და ევროსაბჭოს თანაბარ უფლებებს ანიჭებს. ამგვარად კანონმდებლობა მიიღება ერთობლივად⁶.

⁴ ევროკავშირი, 2013ბ

⁵ ევროპა, 2013

⁶ ევროკავშირი, 2013ბ

3. ასოცირების შეთანხმება

3.1 რა არის ასოცირების შეთანხმება?

ასოცირების შეთანხმება ორმხრივი დოკუმენტია, რომელიც იდება ევროკავშირსა და ცალკეულ ქვეყანას შორის და ადგენს შემდგომი ორმხრივი ურთიერთობების პრიორიტეტებსა და ძირითად მიმართულებებს. იგი ერთგვარი ჩარჩო ხელშეკრულებაა, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში, ქვეყანას ამზადებს ევროკავშირის წევრობისათვის⁷. ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირის ძირითადი ინსტრუმენტია აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების ევროკავშირის სტანდარტებთან და ნორმებთან მაქსიმალურად დაახლოებისათვის⁸.

ასოცირების შეთანხმება ეხება ქვეყნის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას, მართლმსაჯულებას და საშინაო პოლიტიკას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნას ხელმომწერ მხარეებს შორის და მთელ რიგ სხვა საკითხებს⁹, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი გარემოს დაცვას ეთმობა.

ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, მიიღოს ევროკავშირის მთელი რიგი სამართლებრივი აქტები ვაჭრობის, მომხმარებლის უფლებების დაცვის თუ გარემოს დაცვის ნორმების შესახებ¹⁰.

3.2 ასოცირების შეთანხმება და გარემოს დაცვა

გარემოს დაცვის სფეროში, ასოცირების ხელშეკრულება ხელმომწერ სახელმწიფოს მთელ რიგ ვალდებულებებს უყენებს. კერძოდ, საუბარია შემდეგ სფეროებზე (მუხლი 302)¹¹:

1. გარემოსდაცვითი მმართველობა და ჰორიზონტული საკითხები, როგორცაა სტრატეგიული დაგეგმვა, გარემოზე ზემოქმედების შეფასება და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება, განათლება და ტრენინგი, მონიტორინგი და გარემოსდაცვითი საინფორმაციო სისტემების ჩამოყალიბება, ინსპექტირება და კანონდარდული, გარემოსდაცვითი ვალდებულებები, გარემოსდაცვით დანაშაულთან ბრძოლა, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა, საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესი და ეფექტური ადმინისტრაციული და სასამართლო პროცედურების არსებობა;
2. ჰაერის ხარისხი;
3. წყლის ხარისხი და წყლის რესურსების მართვა, მათ შორის, წყალდიდობის რისკების მართვა, წყლის რესურსების სიმცირე და გვალვა;
4. ნარჩენების მართვა;
5. ბუნების დაცვა, მათ შორის, ტყის რესურსებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვა;
6. საწარმოების მიერ გარემოს დაბინძურება;
7. ქიმიური ნივთიერებების მართვა.

ხელშეკრულების ცალკე თავი ეძღვნება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საკითხებს და ამ სფეროში მხარეებს შორის თანამშრომლობას. უფრო კონკრეტულად, ევროკავშირის სამართლებრივი აქტებისა და

⁷ ევროკავშირი, 2013გ

⁸ რადიო თავისუფლება, 2013

⁹ რადიო თავისუფლება, 2013

¹⁰ რადიო თავისუფლება, 2013

¹¹ საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების ხელშეკრულება, 2013 (თარგმანი შესრულებულია ინგლისურიდან სახელმძღვანელოს ავტორის მიერ)

საერთაშორისო ინსტრუმენტების სია, რომელთაგანაც უნდა მოხდეს დაახლოება წარმოდგენილია ასოცირების შეთანხმების დანართში (დანართი 26). ამასთან, მოცემულია ის მაქსიმალური ვადა, რომლის განმავლობაშიც ხელმომწერმა სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ეს საკანონმდებლო ცვლილებები (მაგალითისთვის, იხ. ჩანართი 1).

3.3 ასოცირების შეთანხმება და საქართველო

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებაზე მუშაობა უკვე რამოდენიმე წელია მიმდინარეობს. ასოცირების შეთანხმებაზე მიმდინარე მოლაპარაკებები 2013 წლის ივლისში დასრულდა, ხოლო 2013 წლის ნოემბერში აღმოსავლეთის პარტნიორობის ვილნიუსის სამიტზე მოხდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება¹². პარაფირება ნიშნავს, რომ ხელმომწერი მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტზე და ტექსტი მზად არის ხელმოსაწერად. მოსალოდნელია, რომ ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა 2014 წელს მოხდება¹³. აღსანიშნავია, რომ ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, ის ძალაში მხოლოდ 2-3 წლის შემდეგ შეიძლება შევიდეს. საქმე იმაშია, რომ ხელმოწერილი ხელშეკრულების რატიფიცირება ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს პარლამენტის მიერ უნდა მოხდეს, რაც, ბუნებრივია, საკმაო დროს მოითხოვს¹⁴.

ჩანართი 1. ევროკავშირის დირექტივა 2001/42/EC სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ

შეთანხმების მიხედვით, საქართველომ უნდა შეასრულოს დირექტივის შემდეგი მოთხოვნები:

- ✓ მიიღოს შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და განსაზღვროს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანო.

დირექტივის ეს მოთხოვნა უნდა შესრულდეს შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის განმავლობაში.

- ✓ ჩამოაყალიბოს პროცედურა, რომლის მიხედვითაც მოხდება გადაწყვეტილების მიღება, თუ რომელი პროგრამა ან გეგმა უნდა დაექვემდებაროს სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას. აგრეთვე, უნდა დაადგინოს ის მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც გეგმები და პროგრამები უნდა დაექვემდებარონ სავალდებულო სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას (მუხლი 3);

- ✓ ჩამოაყალიბოს გარემოსდაცვითი უწყებებთან და საზოგადოებასთან კონსულტაციების ჩატარების პროცედურები;

- ✓ ჩამოაყალიბოს პროცედურები ინფორმაციის გაცვლისა და კონსულტაციების ჩასატარებლად იმ შემთხვევებისთვის, როდესაც პროექტმა შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ევროკავშირის წევრ ქვეყანას (მუხლი 7).

დირექტივის ეს მოთხოვნები უნდა შესრულდეს შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის განმავლობაში.

¹² ევროკავშირი, 2013დ

¹³ ევროკავშირი, 2013დ

¹⁴ რადიო თავისუფლება, 2013

4. რა არის კონვერგენცია

კონვერგენცია არის ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა. მნიშვნელოვანია, ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებასა და შესაბამისობაში მოყვანას შორის განსხვავების განმარტება. დაახლოება (approximation) გულისხმობს ევროკავშირის კანონმდებლობის, რეგულაციების, წესებისა თუ პროცედურების სრულად გადმოტანას ეროვნულ კანონმდებლობაში. შესაბამისობაში მოყვანა, ანუ კონვერგენცია (convergence) კი, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ძირითადი პრინციპების შესაბამისობას ევროკავშირის კანონმდებლობასთან და არა ყველა მოთხოვნისა და რეგულაციის ზუსტ გადმოტანას ეროვნულ კანონმდებლობაში¹⁵.

როგორ უნდა მოხდეს კონვერგენცია - კონვერგენციის ეტაპები:

კონვერგენციის პროცესი გულისხმობს რამოდენიმე ურთიერთდაკავშირებულ ეტაპს, რომლებიც ქვემოთაა აღწერილი (იხ. ასევე ნახატი 2).

1. ევროკავშირის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ანალიზი, ძირითადი პრინციპების გამოვლენის მიზნით

ამ ეტაპზე უნდა მოხდეს ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის (მაგალითად, დირექტივების) ანალიზი და იმ მთავარი პრინციპებისა და პრიორიტეტების ჩამოყალიბება, რომლებიც, ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, ევროკავშირის გარემოსდაცვითი პოლიტიკის საფუძველს ქმნიან. მაგალითად, მყარი ნარჩენების სფეროში ევროკავშირი ხელმძღვანელობს ე.წ. ნარჩენების მართვის იერარქიის პრინციპით, რომელიც ჩამოყალიბებულია ნარჩენების მართვის შესახებ ჩარჩო დირექტივაში. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარებისას კი, ევროკავშირის ერთ-ერთი პრიორიტეტია საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის ადრეულ სტადიაზე.

კონვერგენცია არის ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

2. ეროვნული კანონმდებლობის ანალიზი ევროკავშირის პრინციპებთან შესაბამისობის შესაფასებლად

მეორე ეტაპზე ხდება ეროვნული კანონმდებლობის ანალიზი იმის დასადგენად, თუ რამდენად შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობაში დეკლარირებული პრინციპები და მათი გატარების პროცედურები ევროკავშირის კანონმდებლობაში მოცემულ პრინციპებსა და პრიორიტეტებს. ამ ანალიზის შედეგად, დგინდება, თუ რა სფეროში ან რა საკითხთან მიმართებაშია საჭირო ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა და საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. მაგალითად, საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში არ არსებობს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ცნება (არ არსებობს ამ ინსტრუმენტის გამოყენების სამართლებრივი მოთხოვნა); მაშინ, როდესაც სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება ევროკავშირის ჰორიზონტული გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.

3. ევროკავშირის ძირითადი პრინციპების გატარება ეროვნულ კანონმდებლობაში


მას შემდეგ, რაც დადგინდება ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის ძირითად პრინციპებსა და პრიორიტეტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების ხასიათი, უნდა მოხდეს ამ ცვლილებების განხორციელება. აღსანიშნავია, რომ ცვლილებები შესაძლოა სხვადასხვა სახის

¹⁵ ასერის ინსტიტუტი, 2003

იყოს. მაგალითად, ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლოა საჭირო გახდეს უკვე არსებული კანონების გადახედვა და მათი დახვეწა; მაშინ, როდესაც სხვა შემთხვევებში, შესაძლოა აუცილებელი იყოს სრულიად ახალი საკანონმდებლო აქტების შემუშავება და მიღება. მაგალითად, მნიშვნელოვან ცვლილებებს საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების მარეგულირებელი საქართველოში ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დანერგვისთვის კი, სრულიად ახალი საკანონმდებლო ინიციატივებია საჭირო.

4. შესაბამისი ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელება

საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება შეუძლებელია შესაბამისი ინსტიტუციური სისტემის გარეშე. ამდენად, მეოთხე ეტაპი სწორედ ინსტიტუციური სისტემის ჩამოყალიბებას და დახვეწას გულისხმობს.



ნახატი 2. კონვერგენციის პროცესის ძირითადი ეტაპები

5. ევროკავშირის ჰორიზონტული და სექტორული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა

მნიშვნელოვანია, განვასხვავოთ ევროკავშირის *ჰორიზონტული და სექტორული კანონმდებლობა*. სექტორული კანონმდებლობა არეგულირებს ამა თუ იმ სექტორს (მაგ. ნარჩენების მართვა, წყლის რესურსების მართვა), ხოლო *ჰორიზონტული კანონმდებლობა* არ შემოიფარგლება რომელიმე ერთი სექტორით, არამედ მოიცავს მთელ რიგ გარემოსდაცვით საკითხებს და ამიტომ, მას ხშირად „გამჭოლ კანონმდებლობასაც“ უწოდებენ. ამრიგად, სექტორული კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ჰორიზონტული კანონმდებლობა პროცედურული ხასიათისაა და მიზნად ისახავს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას და გადაწყვეტილების პროცესის გაუმჯობესებას^{16,17}.

ევროკავშირის ჰორიზონტული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა აერთიანებს ხუთ დირექტივას. ესენია:

- i. დირექტივა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ (Access to Information Directive 2003/4/EC¹⁸);
- ii. დირექტივა გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ (Environmental Impact Assessment Directive 85/337/EEC¹⁹);
- iii. დირექტივა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ (Strategic Environmental Assessment Directive 2001/42/EC²⁰).
- iv. დირექტივა საზოგადოების მონაწილეობის შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში (Directive providing for public participation in EIA 2003/35/EC²¹);
- v. დირექტივა ანგარიშგების შესახებ (Reporting Directive 91/692/EEC²²);

მომდევნო თავი სწორედ ამ დირექტივებისა და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობის შედარებას ეძღვნება.

ევროკავშირის *სექტორული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა* კი, დეტალურად არეგულირებს საკითხებს, რომლებიც ეხება ბუნების დაცვას, ნარჩენების მართვას, წყლის რესურსების მართვას, ატმოსფერული ჰაერის დაცვას და საწარმოების მიერ დაბინძურების ინტეგრირებულ პრევენციასა და კონტროლს. მე-2 ცხრილში წარმოდგენილია შესაბამისი სექტორული დირექტივები²⁴.

¹⁶ ბერგლუნდი და რაგამბი, 2007

¹⁷ მწვანე ალტერნატივა, 2012

¹⁸ Directive 2003/4/EC of the European Parliament and of the Council of 28 January 2003 on public access to environmental information and repealing Council Directive 90/313/EEC. ხელმისაწვდომია EUR-Lex-ის მონაცემთა ბაზაში: <http://eur-lex.europa.eu/>

¹⁹ Council Directive of 27 June 1985 on the assessment of the effects of certain public and private projects on the environment (85/337/EEC). ხელმისაწვდომია EUR-Lex-ის მონაცემთა ბაზაში: <http://eur-lex.europa.eu/>

²⁰ Directive 2001/42/EC of the European Parliament and of the Council of 27 June 2001 on the assessment of the effects of certain plans and programmes on the environment. ხელმისაწვდომია EUR-Lex-ის მონაცემთა ბაზაში: <http://eur-lex.europa.eu/>

²¹ Directive 2003/35/EC of the European Parliament and of the Council of 26 May 2003 providing for public participation in respect of the drawing up of certain plans and programmes relating to the environment and amending with regard to public participation and access to justice Council Directives 85/337/EEC and 96/61/EC. ხელმისაწვდომია EUR-Lex-ის მონაცემთა ბაზაში: <http://eur-lex.europa.eu/>

²² Council Directive 91/692/EEC of 23 December 1991 standardizing and rationalizing reports on the implementation of certain Directives relating to the environment. ხელმისაწვდომია EUR-Lex-ის მონაცემთა ბაზაში: <http://eur-lex.europa.eu/>

²³ საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმება (შეთანხმების შესაბამისი დანართი) ითვალისწინებს ჰორიზონტული გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შემადგენელ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ დირექტივასთან დაახლოების ვალდებულებას, გარდა ანგარიშგების შესახებ დირექტივისა. ამ დირექტივის ნაცვლად, ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს გარემოსთვის მიყენებული ზიანის პრევენციასა და აღმოფხვრაზე გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ ევროკავშირის 2004/35/EC დირექტივასთან (Directive 2004/35/EC on environmental liability with regard to the prevention and remedying of environmental damage) დაახლოების ვალდებულებას.

²⁴ აღნიშნული დირექტივების გარდა, ევროკავშირის სექტორული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა ასევე მოიცავს რეგულაციებსა და გადაწყვეტილებებს. დოკუმენტების სრული სია იხ. <http://ec.europa.eu/environment/enlarg/handbook/handbook.htm>

ცხრილი 2. ევროკავშირის სექტორული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა

| გარემოსდაცვითი სექტორი | დირექტივა |
|---------------------------------|--|
| ბუნების დაცვა ²⁵ | <ol style="list-style-type: none"> 1. დირექტივა ველური ფრინველების დაცვის შესახებ (Council Directive 79/409/EEC on the conservation of wild birds) 2. დირექტივა ბუნებრივი ჰაბიტატის და ველური ფლორისა და ფაუნის დაცვის შესახებ (Council Directive 79/409/EEC on the conservation of natural habitats and of wild fauna and flora) 3. დირექტივა გარკვეული ჯიშის სელაპის ნაშიერის ტყავის და მისგან დამზადებული პროდუქციის ევროკავშირის ქვეყნებში იმპორტის შესახებ (Council Directive 83/43/EEC concerning the importation into Member States of skins of certain seal pups and products derived therefrom). |
| ნარჩენების მართვა ²⁶ | <ol style="list-style-type: none"> 1. ჩარჩო დირექტივა ნარჩენების შესახებ (Framework Directive on Waste (Council Directive 2006/12) 2. დირექტივა საშიში ნარჩენების შესახებ Hazardous Waste Directive (Council Directive 91/689/EEC as amended by Council Directive 94/31/EC) 3. დირექტივა ნარჩენი ზეთების შესახებ Disposal of waste oils (Council Directive 75/439/EEC, as amended by Directives 87/101/EEC and 91/692/EEC, and partially repealed by Directive 2000/76/EC) 4. დირექტივები ტიტანის ორჟანგის წარმოების ნარჩენების შესახებ (Directives on waste from the titanium dioxide industry (Council Directives 78/176/EEC, 82/883/EEC and 92/112/EEC). 5. დირექტივა ბატარეებისა და აკუმულატორების შესახებ, რომლებიც შეიცავენ გარკვეული სახის საშიშ ნივთიერებებს (Batteries and accumulators containing certain dangerous substances (Council Directive 2006/66/EC). 6. დირექტივა შესაფუთი მასალებისა და შესაბამისი ნარჩენების შესახებ (Packaging and packaging waste (Council Directive 94/62/EC, as amended) 7. დირექტივა პოლიქლორირებული ბიფენილებისა და პოლიქლორირებული ტერფენილების შესახებ The disposal of polychlorinated biphenyls and polychlorinated terphenyls (PCB/PCT) (Council Directive 96/59/EC). 8. დირექტივა გარემოს დაცვის, კერძოდ, სოფლის მეურნეობაში ჩამდინარე წყლების ნალექის გამოყენებისას ნიადაგის დაცვის შესახებ (Protection of the environment, and in particular of the soil, when sewage sludge is used in agriculture (Council Directive 86/278/EEC). 9. დირექტივები ელექტრო და ელექტრონული ნარჩენების შესახებ (Electrical and electronic waste (European Parliament and Council Directives 2002/95/EC and 2002/96/EC 10. დირექტივა ექსპლუატაციიდან გამოსული ავტომანქანების შესახებ End-of-Life Vehicles (European Parliament and Council Directive 2002/53/EC). 11. დირექტივა საზღვაო პორტებში გემებზე დაგროვილი ნარჩენების მიმღები დაწესებულებების შესახებ (Directive 2000/59/EC of the European Parliament and of the Council on port reception facilities for ship-generated waste and cargo residues, as amended by Directive 2002/84/EC and Commission Directive 2007/71/EC). 12. დირექტივა სამთო სამუშაოების შედეგად დაგროვილი ნარჩენების მართვის შესახებ (Directive 2006/21/EC of the European Parliament and of the Council of 15 March 2006 on the management of waste from extractive industries). 13. დირექტივა ნარჩენების დაწვის (ინსინერაციის) შესახებ (Incineration of waste (Council Directive 2000/76/EC). 14. დირექტივა ნარჩენების პოლიგონზე განთავსების შესახებ (Directive on the Landfill of Waste (Council Directive 99/31/EC) |

²⁵ ევროკომისია, 2013, თავი 6

²⁶ ევროკომისია, 2013, თავი 4

| | |
|---|--|
| <p>წყლის რესურსების მართვა²⁷</p> | <ol style="list-style-type: none"> 1. დირექტივა ურბანული ჩამდინარე წყლების გასუფთავების შესახებ (Directive 91/271/EEC concerning urban waste water treatment) 2. დირექტივა სოფლის მეურნეობის სექტორის მიერ წყლების ნიტრატებით დაბინძურებისაგან დაცვის შესახებ (Directive 91/676/EEC on the protection of waters against pollution caused by nitrates from agricultural sources) 3. დირექტივა გარკვეული საშიში ნივთიერებებისაგან მიწისქვეშა წყლების დაცვის შესახებ (Directive 80/68/EEC on the protection of groundwater against pollution caused by certain dangerous substances) 4. დირექტივა მიწისქვეშა წყლების დაბინძურებისაგან დაცვის შესახებ (Directive 2006/60/EC of the European Parliament and the Council establishing a framework for Community action in the field of water policy) 5. დირექტივა გარკვეული საშიში ნივთიერებების მიერ წყლის დაბინძურების შესახებ (Directive 2006/11/EC of the European Parliament and of the Council of 15 February 2006 on pollution caused by certain dangerous substances discharged into the aquatic environment of the Community (codified version of Council Directive 76/464/EEC) 6. დირექტივა საბანაო წყლის ხარისხის შესახებ (Directive 2006/7/EEC concerning the quality of bathing water) 7. დირექტივა იმ მტკნარი წყლების ხარისხის შესახებ, რომლებიც საჭიროებენ დაცვას ან გაუმჯობესებას, თევზების სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად (Directive 2006/44/EC of the European Parliament and the Council of 6 September 2006 on the quality of freshwaters needing protection or improvements in order to support fish life). 8. დირექტივა მოლუსკების საბინადრო წყლების ხარისხის შესახებ (Directive 2006/113/EC of the European Parliament and of the Council of 12 December 2006 on the quality required of shellfish waters) 9. დირექტივა წყალდიდობების რისკების შეფასების შესახებ (Directive 2007/60/EC of the European Parliament and of the Council of 23 October 2007 on the assessment and management of flood risks) |
| <p>ატმოსფერული ჰაერის დაცვა^{28,29}</p> | <ol style="list-style-type: none"> 1. დირექტივა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასებისა და მართვის შესახებ (Directive 96/62/EC on ambient air quality assessment and management) 2. დირექტივა ატმოსფერულ ჰაერში გოგირდის ორჟანგის, აზოტის ორჟანგისა და აზოტის ოქსიდის, მყარი ნაწილაკებისა და ტყვიის მაქსიმალური შემცველობის შესახებ (Directive 99/30/EEC relating to limit values for sulphur dioxide, nitrogen dioxide and oxides of nitrogen, particulate matter and lead in ambient air) 3. დირექტივა ატმოსფერულ ჰაერში ბენზოლის და კარბონის მონოქსიდის მაქსიმალური შემცველობის შესახებ (Directive 2000/69/EC relating to limit values for benzene and carbon monoxide in ambient air). 4. დირექტივა ატმოსფერულ ჰაერში ოზონის შემცველობის შესახებ (Directive 2002/3/EC relating to ozone in ambient air) 5. დირექტივა ატმოსფერულ ჰაერში დარიშხანის, კადმიუმის, ვერცხლისწყლის, ნიკელის და პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების შემცველობის შესახებ (Directive 2004/107/EC of the European Parliament and of the Council of 15 December 2004 relating to arsenic, cadmium, mercury, nickel and polycyclic aromatic hydrocarbons in ambient air) 6. დირექტივა ეროვნულ დონეზე გარკვეული დამაბინძურებლებისთვის მაქსიმალური ზღვრის დაწესების შესახებ (Council Directive 2001/81/EC on national emission ceilings for certain atmospheric pollutants, as amended by Council Directive 2006/105/EC) |
| <p>საწარმოების მიერ გარემოს დაბინძურების ინტეგრირებული</p> | <ol style="list-style-type: none"> 1. დირექტივა წვის დიდი საწარმოებიდან გარკვეული სახის დამაბინძურებლების გაფრქვევაზე შეზღუდვების დაწესების შესახებ (Council Directive 2001/80/EEC on the limitation of emissions of certain pollutants into the air from large combustion plants, as amended by Directive 2006/105/EC) |

²⁷ ევროკომისია, 2013, თავი 5

²⁸ ევროკომისია, 2013, თავი 3

²⁹ ჩამოთვლილი დირექტივები ეხება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შემოწმებას და მართვას. ატმოსფერულ ჰაერთან დაკავშირებული სხვა დირექტივების სრული სია იხ. <http://ec.europa.eu/environment/enlarg/handbook/air.pdf>

| | |
|--|--|
| <p>პრევენცია და კონტროლი³⁰</p> | <ol style="list-style-type: none"> 2. დირექტივა დაბინძურების ინტეგრირებული პრევენციისა და კონტროლის შესახებ (Directive 2008/1/EC of the European Parliament and of the Council of 15 January 2008 concerning integrated pollution prevention and control) 3. დირექტივა საშიშ ნივთიერებებთან დაკავშირებული ავარიული შემთხვევების საფრთხის კონტროლის შესახებ (Council Directive 96/82/EC on the control of major-accident hazards involving dangerous substance) |
|--|--|

6. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ევროკავშირის ჰორიზონტულ გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან

6.1 ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

გარემოსდაცვითი ინფორმაციის განმარტება საქართველოს მოქმედ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებში არ გვხვდება, თუმცა, საქართველოს მიერ რატიფიცირებული ორჰუსის კონვენცია განმარტავს, თუ რა არის გარემოსდაცვითი ინფორმაცია (იხ. მუხლი 2). საჯარო ინფორმაციის ცნებას განმარტავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (შემდგომში - ზაკ). ზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის (მ) ქვეპუნქტის მიხედვით, „საჯარო ინფორმაცია“ არის „ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მომსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია“. ზაკ-ის 28-ე მუხლის მიხედვით, საჯარო ინფორმაცია ღიაა და ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისთვის, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა (მაგ., როდესაც ინფორმაცია წარმოადგენს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას); ხოლო 36-ე მუხლის მიხედვით, „საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაადგინოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე“.

მნიშვნელოვანია, რომ ზაკ-ის 42-ე მუხლში მოცემულია იმ ინფორმაციის ჩამონათვალი, რომლის გასაიდუმლოებაც დაუშვებელია. ამ ჩამონათვალში შედის „ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას“.

„საჯარო ინფორმაცია“ არის „ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მომსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია“.

გარემოსდაცვითი ინფორმაციის განმარტების არქონა ეროვნულ კანონმდებლობაში ქმნის გარკვეულ სირთულეს. კერძოდ, ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა არ აკონკრეტებს, რომელი დაწესებულება რა საჯარო გარემოსდაცვით ინფორმაციას უნდა ფლობდეს, აგროვებდეს და ავრცელებდეს. ამგვარი მოთხოვნები გაფანტულია სხვადასხვა კანონსა და კანონქვემდებარე აქტში. რეალურად კი, გარემოსდაცვით ინფორმაციას შესაძლებელია ფლობდეს რამოდენიმე საჯარო უწყება.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში ყურადღება ექცევა საჯარო ინფორმაციის ელექტრონულ ფორმატში გავრცელებას. ამაზე მეტყველებს 2009 წელს მიღებული კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შექმნის შესახებ“. ამასთან, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ავალდებულებს საჯარო დაწესებულებას საჯარო რეესტრში შეიტანოს ამ დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაცია. ამრიგად, საჯარო უწყებაში იქმნება საჯარო ინფორმაციის ერთიანი ბაზა. აქვე აღსანიშნავია, რომ პრაქტიკულად საჯარო რეესტრი არ ასრულებს იმ ფუნქციას, რომელიც კანონითაა

³⁰ ევროკომისია, 2013, თავი 7

გათვალისწინებული. ზოგიერთი ადმინისტრაციული ორგანო საერთოდ არ აწარმოებს ამგვარ რეესტრს, ზოგიერთს კი, არ აქვს ჯეროვნად გათვიცნობიერებული, თუ რა არის საჯარო რეესტრი და რა ფუნქცია აკისრია მას. მაგალითად, ხშირად გაიცემა მხოლოდ ის მონაცემები, რომლებიც საჯარო რეესტრშია შეტანილი (ანუ ის ინფორმაცია, რომელიც საჯარო დაწესებულების მიერ სავალდებულო სახითაა შეტანილი რეესტრში), ხოლო ის ინფორმაცია, რომელიც არ არის საჯარო რეესტრში, როგორც წესი, არ გაიცემა (იმისდა მიუხედავად, რომ ის, შეიძლება, საჯარო ინფორმაციაა და არანაირ საიდუმლოებას არ შეიცავს)³¹. ელექტრონული გამჭვირვალობის კუთხით, აღსანიშნავია, რომ არ არის შემუშავებული საჯარო დაწესებულებების მიერ ვებ-გვერდებზე საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების ერთიანი სტანდარტი. ამიტომ, ის, თუ რა უნდა გამოქვეყნდეს ამა თუ იმ საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდზე, ამავე საჯარო უწყების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული³² (ჩანართი 2)³³.

ჩანართი 2. გასაჯაროებულ ინფორმაციას სასამართლო მანც საიდუმლოდ თვლის

2008 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობამ გამოსცა განკარგულება #325 „საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედს“ შორის გაფორმებული შპს „რუსთაველკანალის“, შპს „მცხეთაწყალკანალის“, შპს „საქწყალკანალისა“ და შპს „თბილისის წყლის“ 100% წილების ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ“. ამავე წლის 28 მაისს, ასოციაცია მწვანე ალტერნატივამ მოითხოვა ხელშეკრულების პროექტის ასლი. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, მთავრობის #325 განკარგულების გამოცემის დღესვე ხელი მოეწერა აღნიშნულ ხელშეკრულებას და მისი სრული ტექსტი მიჩნეულ იქნა მყიდველის კომერციულ საიდუმლოდ. შესაბამისად, მწვანე ალტერნატივამ ხელშეკრულება ვერ მოიპოვა.

2009 წლის 22 მაისს მწვანე ალტერნატივამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და სთხოვა ხელშეკრულების ტექსტის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის კანონიერების საკითხის შესწავლა. სასამართლო ათი თვის განმავლობაში შვიდჯერ გადაიდო იმ მიზეზით, რომ ვერ მოხერხდა „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედის“ პროცესში ჩართვა. სასამართლოს მიმდინარეობისას მწვანე ალტერნატივამ შეიტყო, რომ 2009 წლის 22 დეკემბერს საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ხელშეკრულებაში ცვლილებები შევიდა. ამასთან, სასამართლოს მიმდინარეობისას მწვანე ალტერნატივამ საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე შემთხვევით აღმოაჩინა აღნიშნული ხელშეკრულების ძირითადი ტექსტი დანართებისა და ხელშეკრულებაში შესული ცვლილებების გარეშე.

საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მწვანე ალტერნატივას სარჩელი. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ხელშეკრულება წარმოადგენს საიდუმლო ინფორმაციას და არ უნდა იყოს საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი. 2010 წლის დეკემბერში სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება ძალაში დატოვა და მწვანე ალტერნატივას კვლავ უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე. ამრიგად, დავამ უზენაეს სასამართლოში გადაინაცვლა.

ამასობაში, მწვანე ალტერნატივამ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე კვლავ აღმოაჩინა დადებული ხელშეკრულების სრული ტექსტი, ამ შემთხვევაში, ყველა დანართითურთ. საგულისხმოა, რომ ეს დანართები არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლომ საჯარო ინფორმაციად არ ჩათვალეს. საინტერესოა, რომ ხელშეკრულების ტექსტი, დოკუმენტის გასაიდუმლოების ყოველგვარი მოთხოვნის გარეშე, თავად „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“ უფლებამოსილი პირის მიერ იყო გამოქვეყნებული.

³¹ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2012ა


³² ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2011ბ

³³ მწვანე ალტერნატივა, 2011

6.2 გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ევროკავშირის დირექტივა გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემგომში - გზშ) შესახებ განმარტავს, თუ რა ეტაპებისგან უნდა შედგებოდეს გზშ პროცესი:

- (ა) **სკრინინგი:** სკრინინგის ეტაპზე მიიღება გადაწყვეტილება გზშ-ს ჩატარების საჭიროების შესახებ. იმ საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებიც სავალდებულოდ ექვემდებარებიან გზშ-ს, წარმოდგენილია დირექტივის პირველ დანართში. მეორე დანართში ჩამოთვლილია საქმიანობები, რომლებიც ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების გადაწყვეტილებით, შეიძლება დაექვემდებაროს გზშ-ს. ასეთი გადაწყვეტილება მიიღება სკრინინგის პროცედურების საშუალებით, საქმიანობებისთვის წინასწარ დადგენილი ზღვრების ან ყოველ კონკრეტული შემთხვევის (საქმიანობის) განხილვის საფუძველზე. ნებისმიერ შემთხვევაში, ეროვნულმა კომპეტენტურმა ორგანომ გზშ-ს ჩატარების საჭიროების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იხელმძღვანელოს დირექტივის მესამე დანართით დადგენილი კრიტერიუმებით.
- (ბ) **სკოპინგი:** სკოპინგის ეტაპზე ხდება კვლევის ფიზიკური/რეგიონული ფარგლების დადგენა და იმ გარემოსდაცვითი საკითხების და საქმიანობის ალტერნატივების განსაზღვრა, რომლის შესწავლაც უნდა მოხდეს გზშ-ს ანგარიშის მომზადებისას.
- (გ) **გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში:** სკოპინგის საფუძველზე უნდა მომზადდეს გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში, რომელიც სხვა საკითხებს შორის, უნდა მოიცავდეს არსებული ვითარების აღწერას, გეგმის ან პროგრამის განხორციელებით გამოწვეულ მოსალოდნელ ზეგავლენას, ზეგავლენის თავიდან აცილების, შემცირების და შერბილების ღონისძიებებს და მონიტორინგის გეგმას.
- (დ) **კონსულტაცია:** გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ უნდა ჩაატაროს საჯარო კონსულტაციები შესაბამის უწყებებთან და საზოგადოებასთან.
- (ე) **გადაწყვეტილების მიღება:** გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე შესაბამისმა საჯარო უწყებამ უნდა შეაფასოს წარდგენილი განაცხადი თანხმობის (სანებართვო დოკუმენტის) გაცემაზე გადაწყვეტილების მისაღებად, გზშ ანგარიშისა და საზოგადოების წარმომადგენლების მიერ გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით.
- (ვ) **მონიტორინგი:** ამ ეტაპზე ხდება სახელმწიფო კონტროლის განხორციელება სანებართვო პირობების შესრულებაზე.



ნახატი 3. ევროკავშირისა და საქართველოს კანონმდებლობებით განსაზღვრული გზშ ეტაპების შედარება

ზემოთ წარმოდგენილ მე-3 ნახატში გრაფიკულადაა წარმოჩენილი ევროკავშირის გზმ დირექტივით გათვალისწინებული გზმ-ს ეტაპები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გზმ ეტაპები. როგორც ნახაზიდან ჩანს, უმთავრესი განსხვავება გზმ-ს სისტემის ადრეულ ეტაპებსა და საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის საკითხებშია.

ჩანართი 3

ზოგიერთი საქმიანობა, რომელიც ევროკავშირის დირექტივის მიხედვით საჭიროებენ სავალდებულო გზმ-ს და რომელიც, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, არ ექვემდებარებიან სავალდებულო ეკოლოგიურ ექსპერტიზას (შესაბამისად, გზმ-ს):

1. საწარმოები, სადაც იწარმოება ქაღალდი და მუყაო, რომლის წარმადობა დღეში აღემატება 20 ტონას;
2. მღაროები და კარიერები, სადაც ღია წესით მოპოვების ადგილის ზედაპირი აღემატება 25 ჰექტარს, ან მიწისქვეშა მოპოვება, სადაც სამთო-სამუშაოების გავლენის ზონა აღემატება 150 ჰექტარს;
3. გამოყენებული ბირთვული საწვავის ხელახალი გადამუშავების დანადგარები;
4. ნაგებობები, რომლებიც განკუთვნილია ფრინველის ან ღორის ინტენსიური გამრავლებისათვის.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ ცნობს სკრინინგის (ევროკავშირისეულ) და სკოპინგის ეტაპებს. ევროკავშირის დირექტივის მიხედვით, მხოლოდ ამ ეტაპების გავლის შემდეგაა შესაძლებელი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება. შეიძლება ითქვას, რომ სკრინინგის ეტაპი, ანუ იმის დადგენა, საჭიროებს თუ არა საქმიანობა გზმ-ს, ხორციელდება „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის“ შესახებ კანონის საშუალებით. ამ კანონში მოცემულია იმ საქმიანობათა ნუსხა, რომლებიც საჭიროებენ სავალდებულო გზმ-ს. უკანასკნელ წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, აღნიშნული ნუსხა აღარ შეიცავს მთელ რიგ საქმიანობებს, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა იქონიონ გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული საქმიანობათა ჩამონათვალი მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება ევროკავშირის დირექტივის პირველ დანართში მოცემულ საქმიანობათა ჩამონათვალს. არსებული ნუსხა მეტად ხისტია და ხშირ შემთხვევაში, არ აკონკრეტებს ნებადართულ ზღვარს, რაც დავის მიზეზი შეიძლება გახდეს. საქართველოს კანონმდებლობა ასევე არ ითვალისწინებს იმ საქმიანობების ინდივიდუალურ განხილვას, რომლებიც არ არიან ამ ნუსხაში შეტანილი, თუმცა, შესაძლებელია, უარყოფითი გავლენა მოახდინონ გარემოზე (იხ. ჩანართი 3). ამასთან, ევროკავშირის დირექტივისაგან განსხვავებით, საქართველოს კანონმდებლობაში არ არის ჩამოყალიბებული ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს, საჭიროებს, თუ არა საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარებას. ეს საკითხი უკავშირდება ზემოხსენებულ სკრინინგის პროცედურის არ ქონას, რადგან სწორედ ამ ეტაპზე ხდება გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენა.

საქართველოს კანონმდებლობით შესაძლებელია საქმიანობის გათავისუფლება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების ვალდებულებისაგან. ამგვარი დებულება ევროკავშირის დირექტივაშიცაა, თუმცა განხვავება იმაშია, რომ საქართველოს კანონმდებლობაში ეს განმარტება მეტად ზოგადია და ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა. კერძოდ, საუბარია ისეთ პროექტებზე, რომლებიც შეიძლება შეეხოს „საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებს“. ევროკავშირის დირექტივა კი, აზუსტებს, რომ გზმ-ის ჩატარების ვალდებულებისგან შეიძლება საქმიანობა გათავისუფლდეს (მთლიანად ან ნაწილობრივ) მხოლოდ *გამონაკლის* შემთხვევებში და თუკი ეს მოხდა, საზოგადოებას უნდა მიეწოდოს ინფორმაცია გამონაკლისის დაშვების მიზეზების შესახებ; ასევე, განხილულ უნდა იქნეს სხვა სახის შეფასების ჩატარების შესაძლებლობა.

ამგვარი მოთხოვნები საქართველოს კანონდებლობაში არ გვხვდება. უფრო მეტიც, აღსანიშნავია, რომ იკვეთება ინტერესთა კონფლიქტის შესაძლებლობა, რადგან გადაწყვეტილებას საქმიანობის გზმ პროცედურისაგან გათავისუფლების შესახებ იღებს გარემოს დაცვის მინისტრი, ხოლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ წინადადებებს შეიმუშვებს სპეციალური საბჭო, რომლის წევრებსაც ამტკიცებს ასევე გარემოს დაცვის მინისტრი გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომლებიდან. მე-3 ცხრილში წარმოდგენილია ზოგიერთი ის პროექტი, რომელიც 2012 წელს გათავისუფლდა გზმ პროცედურისაგან, როგორც საქმიანობა, რომლის დროული დაწყება საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებში იყო. სულ, 2010-2013 წლებში გზმ პროცედურის ჩატარებისგან გათავისუფლდა 24 პროექტი, ამათგან 12 – 2012 წელს³⁴.

ცხრილი 3. 2012 წელს გზმ-ს ჩატარებისგან გათავისუფლებული პროექტები³⁵

| გზმ-გან გათავისუფლებული საქმიანობის (პროექტის) დასახელება | გზმ-გან გათავისუფლებული ორგანიზაცია | გათავისუფლების ბრძანების თარიღი |
|--|-------------------------------------|---------------------------------|
| მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა და ექსპლუატაცია | შპს „მოულდს ენდ მეტალ ჯორჯია“ | 17.05.2012 |
| ასფალტის წარმოება | შპს „ნიუ ენერჯი“ | 29.05.2012 |
| ლაქ-სადებავების მასალების საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია | შპს „Atoll Paint Company“ | 1.09.2012 |
| ნავთობპროდუქტების ტერმინალის განთავსება და ექსპლუატაცია | შპს „Petroleum storage and trade“ | 06.12.2012 |

რაც შეეხება სკოპინგის პროცედურას, ის მნიშვნელოვანი ეტაპია, რადგან სწორედ ამ დროს დგინდება, გზმ-ს მიზნები, რა საკითხებს უნდა მოიცავდეს გზმ ანგარიში და რა სახის ინფორმაცია უნდა მოგროვდეს ანგარიშის მომზადებისას. სკოპინგის ეტაპზე ხდება ე.წ. ტექნიკური დავალების დოკუმენტის შემუშავება, რომელიც ერთგვარი გზამკვლევაა გზმ ანგარიშის შედგენისას. სკოპინგი არის გზმ პროცესის ადრეული ეტაპი, რომელიც მნიშვნელოვნად განაპირობებს გზმ-ის ხარისხს. სწორედ ამიტომ საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა სკოპინგის ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. თუმცა, რადგან საქართველოში სკოპინგის ჩატარება არ არის კანონმდებლობით გათვალისწინებული, საზოგადოებასაც არ აქვს საშუალება მონაწილეობა მიიღოს ამ პროცესში. ეს უკანასკნელი სამართლებრივი გარემოება ყურადსაღებია, რადგან ევროკავშირის დირექტივა მოუწოდებს წევრ ქვეყნებს უზრუნველონ დაინტერესებული მხარეების ჩართვა გზმ-ის საწყისი ეტაპებიდანვე.

რაც შეეხება საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფას გზმ პროცესის დროს, ამაზე უფრო დაწვრილებით 6.4 თავში ვისაუბრებთ.

6.3 სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება მიზნად ისახავს გეგმების, პროგრამების და პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების განხილვისას გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირებას. ნახატი 4 წარმოაჩენს განსხვავებას სტრატეგიულ გარემოსდაცვითი შეფასებასა და გზმ-ს შორის. როგორც ნახაზიდან ჩანს, მაშინ როდესაც გზმ უტარდება კონკრეტულ პროექტებს (საქმიანობებს), სტრატეგიული

³⁴ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2013

³⁵ სრული სია იხ. <http://www.idfi.ge/?cat=news&topic=426&lang=ka>

გარემოსდაცვითი შეფასების საგანი უფრო „მაღალი დონის“ დოკუმენტებია (გეგმების, პროგრამები, პოლიტიკა).



ნახატი 4. განსხვავება სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებასა და გარემოზე ზემოქმედების შეფასებას შორის

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება არის პროცესი, რომელიც ითვალისწინებს გეგმების, პროგრამებისა და პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების გარემოსა და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების შესწავლას – გეგმაში, პროგრამასა თუ პოლიტიკის დოკუმენტში ალტერნატიული ვარიანტების გამოვლენას და ამ ალტერნატივების გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედებების შესწავლასა და შედარებას³⁶.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება ითვალისწინებს ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის, საზოგადოების სრულფასოვან მონაწილეობას გეგმების, პროგრამებისა და პოლიტიკის დოკუმენტების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში და გამიზნულია ხელი შეუწყოს კომპეტენტური ორგანოების მიერ გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით საუკეთესო გადაწყვეტილებების მიღებას. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებას, ხშირად, დემოკრატიის ინსტრუმენტსაც უწოდებენ, ვინაიდან ის აძლევს საშუალებას საზოგადოებას და მის თითოეულ წევრს იყოს ინფორმირებული და მიიღოს მონაწილეობა იმ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მის საცხოვრებელ გარემოზე, ჯანმრთელობასა და ყოფა-ცხოვრებაზე³⁷.

³⁶ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, 2006

³⁷ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, 2006

ჩანართი 4. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების მაგალითები

1995 წელს **ნეპალში** მსოფლიო ბანკის დახმარებით განხორციელდა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ნეპალის ენერგოსექტორის განვითარების ალტერნატიული გზების ძიებას. სწორი და მისაღები გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით, ჩატარდა პროგრამის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში ენერგიაზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საუკეთესოა მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების განვითარების სტრატეგია. განხილვის პროცესში ტექნიკური, ეკონომიკური, ფინანსური, გარემოსდაცვითი და სოციალური კრიტერიუმების საფუძველზე შეფასდა საშუალო სიმძლავრის ჰესის 136 პროექტი. პროექტების განხილვისა და შეფასების პროცესი მიმდინარეობდა გამჭვირვალობის პირობებში და მასში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე. შედეგად, ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე ჰიდროელექტროსადგურის 136 პროექტიდან შერჩეულ იქნა 24 ყველაზე მიმზიდველი და მცირედ ღირებული პროექტი. შემდგომმა უფრო დეტალურმა შეფასებამ, რომელიც ასევე გაგრძელდა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების ფონზე, დაადგინა 7 პროექტი, რომელიც საუკეთესოდ აკმაყოფილებდა დასახულ მიზნებს.

პოლანდიაში სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების საგანი გახდა ზღვის ნიჟარების მოპოვება ჭარბტენიან ტერიტორიებზე. შეფასების პროცესში ძირითადი ყურადღება დაეთმო ბალანსის შესწავლას ნიჟარების ნატანის ბუნებრივ აღდგენასა და მათ მოპოვებას შორის. კონსულტაციებისა და დაინტერესებული მხარეების მიერ ამ საკითხის შესწავლაში შეტანილი წვლილის საფუძველზე დადგინდა, რომ ნიჟარების ნატანის აღდგენა უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე მათი მოპოვება. მიუხედავად ამისა, გათვალისწინებულ იქნა ის გარემოება, რომ ძალიან მწირი მონაცემები არსებობს ნიჟარების როლზე საერთო ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებაში და რამდენიმე ადგილზე აიკრძალა მათი მოპოვება. ამასთან, გათვალისწინებულ იქნა მომპოვებელთა ინტერესებიც, რომელთაც შეექმნათ პირობები სხვა მომპოვებლების კუთვნილ ტერიტორიებზე აღნიშნული საქმიანობის გასაგრძელებლად. ამდენად, ერთის მხრივ, დაკმაყოფილდა ინვესტორთა მოთხოვნილებები, ხოლო მეორეს მხრივ, გამკაცრდა ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის რეჟიმი.

საქართველოს კანონმდებლობაში არ გვხვდება „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების“ ცნება და შესაბამისად, ამგვარი შეფასების ჩატარების ვალდებულება არ ვრცელდება სხვადასხვა სახის პროგრამების, გეგმების და პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების შემუშავებისას.

ჩანართი 5. საქართველოს ელექტრო-სექტორი


უკანასკნელ წლებში, საქართველოს ელექტრო-სექტორში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება დაიწყო. კერძოდ, საუბარია მსხვილი ჰესების აშენების ხარჯზე ელექტროენერჯის გენერაციის მნიშვნელოვან ზრდაზე. ქვეყნის ენერგო-პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი საქართველოს ენერგოსაფრთხოების გაძლიერება და საექსპორტო პოტენციალის განვითარება გახდა. ამ მიზნების მიღწევა დაგეგმილია ახალი ჰესების აშენების ხარჯზე, რომელთაგან ყველაზე მასშტაბურია ხუდონ-ჰესი, ნამახვანის ჰესების კასკადი და ონის ჰესების კასკადი.

ნათელია, რომ ამ ობიექტების აშენებას მთელი რიგი გარემოსდაცვითი და სოციალური შედეგები მოჰყვება. სწრაფად და ზედაპირულად მიღებულმა გადაწყვეტილებებმა სავალალო შედეგი შეიძლება გამოიღოს. ამდენად, მსგავსი მასშტაბის გეგმის განხორციელებისას საჭიროა სტრატეგიული და გრძელვადიანი შეფასების ჩატარება შესაძლო შედეგების გამოსავლენად. სწორედ ამის საშუალებას იძლევა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება; ის მოგვცემს საშუალებას განხილულ იქნეს ალტერნატივები და შეფასდეს თითოეული მათგანის კუმულატიური ზემოქმედება არა მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობასა და გარემოზე, არამედ მთელ ქვეყანაზე. ამასთან, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარება საზოგადოების წარმომადგენლებს მისცემს საშუალებას აქტიური მონაწილეობა მიიღონ საქართველოს ენერგო-სექტორის განვითარების გეგმის შემუშავებაში.

6.4 საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში

საკანონმდებლო დონეზე გაცხადებული პრინციპების თვალსაზრისით, საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღებისას აღიარებულია როგორც ერთ-ერთი ძირითადი გარემოსდაცვითი პრინციპი (იხ. ჩარჩო კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“). თუმცა, კანონში დეკლარირებული პრინციპები არ აისახება კონკრეტულ პროცედურებში. ამ მხრივ, აღსანიშნავია რამოდენიმე სამართლებრივი გარემოება, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.


კერძოდ, საქართველოში ნებართვებისა და ლიცენზიების უმრავლესობა გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით, რაც გამორიცხავს საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამასთან, საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა გზშ პროცესში/ სისტემაში (იგულისხმება მთელი ციკლი - დაწყებული სკრინინგით, დამთავრებული უშუალოდ საქმიანობის განმახორციელებით) ევალუა საქმიანობის განმახორციელებელს (კერძო პირს) და ისიც მხოლოდ ერთ ეტაპზე - გზშ ანგარიშის შედგენისას. ეს უკანასკნელი გარემოება განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან ის არ შეესაბამება ევროკავშირის ჰორიზონტულ გარემოსდაცვითი კანონმდებლობაში გაცხადებულ მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც, საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა კომპეტენტური სახელმწიფო უწყებების პრეროგატივაა და არა რომელიმე კერძო პირისა. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობაში (მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“ ჩარჩო-კანონით და ორპუსის კონვენციით) დეკლარირებული ძირითადი პრინციპების შესრულების ვალდებულება საზოგადოების წინაშე სწორედ სახელმწიფო ორგანოს და არა რომელიმე ინვესტორს აკისრია (იხ. ნახატი 5).



ნახატი 5. საზოგადოების მონაწილეობა გზშ-ს სისტემის ეტაპებზე

ვინაიდან, ამჟამად, საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა საქმიანობის განმახორციელებლის ვალდებულებაა, საზოგადოების წარმომადგენლებს კანონით გათვალისწინებული პროცედურის მიხედვით, არ აქვთ საშუალება უშუალოდ მიმართონ გადაწყვეტილების მიმღებ უწყებას და გააცნონ მას თავიანთი შენიშვნები და მოსაზრებები. ამასთან, საზოგადოების მონაწილეობა იზღუდება გადაწყვეტილების მიღების ადმინისტრაციული პროცედურის საწყისი ეტაპებიდანვე. მაგალითად, ინვესტორის მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად განაცხადის (რომელსაც თან ერთვის გზშ ანგარიში) შეტანის შემდეგ,

გარემოს დაცვის სამინისტრო არ არის ვალდებული საჯარო გახადოს ნებართვის გაცემის პროცედურა³⁸ (იხ. ნახატი 6). ამასთან, რადგან საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სკრინინგისა და სკოპინგის ეტაპებს, ბუნებრივია, არ არსებობს გზშ პროცესის ამ ადრეულ ეტაპებზე საზოგადოების ჩართვის სამართლებრივი მოთხოვნაც.



ნახატი 6. საზოგადოების მონაწილეობა და გზშ პროცესის ძირითადი მონაწილეები


საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობის შეზღუდულობას განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ იმ საქმიანობათა ნუსხა, რომელიც ექვემდებარება გზშ-ს, საკმაოდ შეზღუდულია (ნუსხა არ მოიცავს ზოგიერთ ისეთ საქმიანობას, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე). საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობის შეზღუდვა ასევე უკავშირდება 2005 წელს განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებას, რომლის მიხედვით, გზშ პროცედურა აღარ ვრცელდება იმ პროექტებზე, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს და სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საქმიანობის განმახორციელებელი კერძო პირია.

6.5 ანგარიშგება

ევროკავშირის დირექტივა ანგარიშგების შესახებ წევრ ქვეყნებს ავალდებულებს ანგარიშგების მომზადებას გარკვეული სექტორული დირექტივების შესრულების მდგომარეობის შესახებ. მაგალითად, ევროკავშირის წევრი ქვეყნები ვალდებული არიან ყოველ სამ წელიწადში ერთხელ მოამზადონ ანგარიშგები გარკვეული საშიში ნივთიერებებისაგან მიწისქვეშა წყლების დაცვის შესახებ დირექტივის (80/68/EEC), სასმელი წყლის შესახებ დირექტივის (80/778/EEC), ასბესტისაგან გარემოს დაბინძურების თავიდან აცილებისა და შემცირების შესახებ დირექტივის (87/217/EEC) შესრულების შესახებ (დირექტივების სრული ჩამონათვალი წარმოდგენილია ანგარიშგების დირექტივის დანართებში) (იხ. ნახატი 7). მსგავსი ანგარიშგების პროცედურა, რომელიც ასახავდა სექტორული გარემოსდაცვითი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს. მაგალითად, ამგვარი

³⁸ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის თანახმად, „1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია: (ა) დაინტერესებული პირის განცხადება; (ბ) ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება – გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. 2. ადმინისტრაციული წარმოება ამ მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაიწყება განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან.“

მოთხოვნა არ გვხვდება კანონში „ატმოსფერული ჰაერის შესახებ“ ან კანონში „წყლის შესახებ“. სექტორული გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესრულების შეფასება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ეს საშუალებას იძლევა გამოვლინდეს, რა ხარვეზებია კანონმდებლობის შესრულების თვალსაზრისით და როგორ შეიძლება მათი გამოსწორება. ამრიგად, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ანგარიშგების მექანიზმის არსებობა, არამედ აღნიშნულ ანგარიშებზე რეაგირება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.



ნახატი 7. ანგარიშგების პროცედურა „ანგარიშგების შესახებ“ ევროკავშირის დირექტივის მიხედვით

7. კონვერგენციით მიღებული სარგებელი

7.1 ჰორიზონტული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა

გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა დემოკრატიული პროცესის განუყოფელი ნაწილია. ევროკავშირის ჰორიზონტულ გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან კონვერგენციის შედეგად, სწორედ ამ მხრივაა მოსალოდნელი არსებული კანონმდებლობისა და შესაბამისი ინსტიტუციური მოწყობის გაუმჯობესება. ამასთან, ჰორიზონტული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა გამჭოლი კანონმდებლობაა; ის ეხება ყველა სექტორსა და სფეროს; ამდენად, ამ სფეროში კონვერგენციით მიღებული უმთავრესი სარგებელი გარემოსდაცვითი პროცედურებისა და რეგულაციების დახვეწა და გაუმჯობესება იქნება.

რაც შეეხება გზშ დირექტივას, ამ დირექტივასთან კონვერგენციის შედეგად მოსალოდნელია³⁹:

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის/პროცედურების გაუმჯობესება;
- პროექტების ხარისხის ამაღლება განხილული გარემოსდაცვითი საკითხების სპექტრის გაფართოებით და ზემოქმედების შესამცირებლად სხვადასხვა ალტერნატივის განხილვით;
- გარემოს დაბინძურების შემარბილებელი ღონისძიებების ჩატარების უფრო მაღალი სტანდარტების დანერგვა;
- გარემოსდაცვითი საკითხების პროექტის მომზადების ადრეულ ეტაპზე განხილვა;

³⁹ ბერგლენდი და რაგამბი, 2007

- გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაუმჯობესება;
- შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების და მოთხოვნების დახვეწა.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ დირექტივასთან კონვერგენციას შემდეგი დადებითი შედეგების მოტანა შეუძლია⁴⁰:

- გრძელვადიანი პრიორიტეტების დადგენისა და სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირება;
- საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა გრძელვადიანი გეგმებისა და პროგრამების შემუშავების დროს;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაუმჯობესება;
- გეგმების, პროგრამებისა და პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების ხარისხის გაუმჯობესება.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დირექტივასთან კონვერგენციას და ამ ინსტრუმენტის დანერგვას გადაწყვეტილების მიმღებ პირთათვის შემდეგი სარგებლის მოტანა შეუძლია⁴¹:

- დაინტერესებულ მხარეთა (საზოგადოების) მეტი ნდობა მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ამ გადაწყვეტილებების დროულ და წინააღმდეგობების გარეშე შესრულებას;
- უამრავი სხვადასხვა პროექტის განხორციელებით გამოწვეული კუმულატიური შედეგების უკეთესი აღქმა, რაც იძლევა ძვირი და უსარგებლო შეცდომების თავიდან აცილების შესაძლებლობას;
- გარემოსდაცვით, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებს შორის კომპრომისის მოძიების უკეთესი შესაძლებლობა; ყველასათვის მისაღები ვარიანტების დადგენის დიდი შესაძლებლობა;
- საქმიანობის (პროექტის) დონეზე გადაწყვეტილებების მიღების გაადვილება, ვინაიდან სტრატეგიული გადაწყვეტილებები (მაგალითად, როგორცაა, საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა) უკვე მიღებული იქნება.

7.2 სექტორული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა

ბუნების დაცვა

ევროკავშირის კანონმდებლობასთან კონვერგენციით მიღებული სარგებელი დაკავშირებული იქნება ბიომრავალფეროვნების დაცვისა და ველური ბუნების შენარჩუნების საკითხებთან. კერძოდ, საუბარია ისეთ საკითხებზე, როგორცაა დაცული ტერიტორიების არასაკმარისი რაოდენობა, მიწისა და ბუნებრივი რესურსების არასწორი მართვა, ჰაბიტატების დეგრადაცია და ფრაგმენტაცია, ტყის საფარის შემცირება, ბიომრავალფეროვნების შემცირება, მონიტორინგისა და დაგეგმარების არარსებობა. ამას გარდა, ევროკავშირის კანონმდებლობასთან კონვერგენცია დადებით შედეგს გამოიღებს სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც⁴², კერძოდ:

- ადგილობრივი მოსახლეობა შეძლებს ისარგებლოს ეკოლოგიური სერვისებით, როგორცაა სუფთა წყალი, წყალდიდობის კონტროლი ან ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება;
- ტურისტების მოზიდვა დაცულ ტერიტორიებზე და შესაბამისი ეკონომიკური აქტიურობა, მათ

⁴⁰ ბერგლუნდი და რაგამბი, 2007

⁴¹ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, 2006

⁴² ნაუმანი, 2007

შორის, ეკო-ტურიზმის განვითარება;

- ადგილობრივი ლანდშაფტისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და დაცვა;
- კომერციულად გამოყენებადი ბუნებრივი რესურსების მდგომარეობის გაუმჯობესება (მაგ. ფარმაცევტული ნედლეული, ტყის რესურსები, ხილი, სათევზაო და სანადირო სავარგულები);
- ეკოსისტემების მომსახურების შენარჩუნება და გაუმჯობესება, როგორცაა წყლის გაწმენდა, წყალდიდობისა და ეროზიის პრევენცია და შემცირება, ნახშირორჟანგის შენახვა^{43,44}.

ნარჩენების მართვა

ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა ევროკავშირის კანონმდებლობასთან სასარგებლო იქნება ნარჩენების მართვის მდგრადი და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების საქმეში (როგორც ნარჩენების შეგროვების, ასევე მათი გადამუშავების თვალსაზრისით). ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა ევროკავშირის ჩარჩო დირექტივა ნარჩენების მართვის შესახებ, რომელიც ნარჩენების მართვის დაგეგმვისა და განხორციელების მთავარ პრინციპებსა და პრიორიტეტებს აყალიბებს. უფრო კონკრეტულად, ნარჩენების პოლიგონზე განთავსებასა და მათ თერმულ დამუშავებას არეგულირებს ევროკავშირის შესაბამისი დირექტივები. მათთან კონვერგენციის შედეგად, გაუმჯობესდება ნარჩენების პოლიგონზე განთავსების პრაქტიკა, შესაძლებელი გახდება დიოქსინებითა და სხვა ტოქსიკური ნივთიერებებით ჰაერის დაბინძურების თავიდან აცილება, უზრუნველყოფილი იქნება გარკვეული ნორმები ნიადაგისა და მიწისქვეშა წყლების დაცვისათვის, აგრეთვე, პოლიგონების დახურვის შემდგომი ღონისძიებების გატარება. ევროკავშირის კანონმდებლობასთან კონვერგენცია საშუალებას მისცემს სახელმწიფოს უფრო ეფექტურად დაარეგულიროს გარკვეული სახის ნარჩენების შეგროვებისა და გადამუშავების საკითხები, მაგალითად, შესაფუთი მასალები და საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ელექტრონული ტექნიკა⁴⁵. ნარჩენების მართვის გაუმჯობესება შეამცირებს ნიადაგის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების, ჰაერის დაბინძურებას⁴⁶.

ატმოსფერული ჰაერის დაცვა

ევროკავშირის კანონმდებლობასთან კონვერგენცია ხელს შეუწყობს ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ ეროვნული კანონმდებლობის დახვეწას და გაუმჯობესებას. ჰაერის ხარისხის შესახებ ჩარჩო დირექტივა შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების და მართვის მოდელი. აღნიშნული დირექტივა აწესებს ჰაერის ხარისხის სტანდარტებს და აყალიბებს ჰაერის დაბინძურების შემცირების მოთხოვნებს. ევროკავშირის ცალკეული დირექტივები ეხება ჰაერის დაბინძურებას კონკრეტული წყაროებიდან, როგორცაა მსხვილი საწარმოებიდან და საავტომობილო ტრანსპორტიდან. ამ დირექტივებთან კონვერგენცია მნიშვნელოვანი იქნება, ჰაერის დაბინძურების ამ მნიშვნელოვანი წყაროებისათვის შესაბამისი მოთხოვნების დაწესების მხრივ. ეს უკანასკნელი, განსაკუთრებით საყურადღებოა საავტომობილო ტრანსპორტის თვალსაზრისით, რადგან სწორედ საავტომობილო ტრანსპორტი წარმოადგენს ჰაერის დაბინძურების უმთავრეს წყაროს საქართველოს ქალაქებში⁴⁷.

ზოგადად, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება დაკავშირებულია გარკვეული დაავადებების შემცირებასთან (როგორცაა გულსისხლძარღვთა და რესპირატორული დაავადებები), ეკოსისტემებზე ზიანის თავიდან აცილებასთან და ზოგადად, ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით, დიდ ქალაქებსა და საწარმოების ახლოს⁴⁸.

⁴³ ნაუმანი, 2007

⁴⁴ ვან ბრელსეგემი და აბრამია, 2011

⁴⁵ ნაუბაუერი, 2007ა

⁴⁶ ვან ბრელსეგემი და აბრამია, 2011

⁴⁷ ლანდგრებე, 2008

⁴⁸ ვან ბრელსეგემი და აბრამია, 2011

წყლის რესურსების დაცვა

წყლის რესურსების დაცვის სექტორულ კანონმდებლობასთან კონვერგენციას მთელი რიგი დადებითი შედეგების მოტანა შეუძლია. განსაკუთრებით საყურადღებოა დირექტივა სასმელი წყლის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი სასმელი წყლის ხარისხს. ამ დირექტივასთან კონვერგენცია არა მხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობისათვის იქნება სარგებლის მომტანი, არამედ ისეთი სექტორებისათვისაც, როგორცაა კვების მრეწველობა და ტურიზმი. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ცალკეული დირექტივები არეგულირებენ მიწისქვეშა და საბანაო წყლის ხარისხს. ევროკავშირის კანონმდებლობასთან კონვერგენცია აგრეთვე დადებითად იმოქმედებს ჩამდინარე წყლების კონტროლისა და მათი ხარისხის გაუმჯობესების მხრივაც⁴⁹. ამასთან, გაუმჯობესდება სანაპირო წყლის და მდინარეების ხარისხი, რაც თავის მხრივ, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას შეუწყობს ხელს, მოხდება დაბინძურებული წყლის მოხმარება არა მხოლოდ საცხოვრებელ პირობებში, არამედ ირიგაციისთვისაც⁵⁰.

დაბინძურების ინტეგრირებული პრევენცია და კონტროლი

ევროკავშირის კანონმდებლობასთან კონვერგენცია გავლენას იქონიებს საწარმოო დანადგარებისა და ტექნოლოგიების გაუმჯობესებაზე და საწარმოების მიერ გარემოსდაცვითი დაბინძურების შემცირებაზე. ამასთან, კონვერგენციის შედეგად გაძლიერდება საზოგადოების მონაწილეობის საწარმოებისათვის ლიცენზიების გაცემის პროცესში და აგრეთვე, ლიცენზიის გაცემის შემდეგ, მონიტორინგის ეტაპზე⁵¹.

⁴⁹ კამპა, ვარდი და ლეიპრანდი, 2007

⁵⁰ ვან ბრეუსეგემი და აბრამია, 2011

⁵¹ ნაუბაუერი, 2007ბ

ლიტერატურა

- ბერგლუნდი, მ. და რაგამბი, ა. (2007). ევროკავშირის გარემოსდაცვითი ჰორიზონტული კანონმდებლობა. მოკლე გზამკვლევი. [ინგლისურად]. http://ec.europa.eu/environment/enlarg/pdf/pubs/horizontal_en.pdf
- ევროკომისია. (2007). *ევროკავშირის ჰორიზონტალური გარემოსდაცვითი კანონმდებლობა. პოლიტიკის მოკლე ნარკვევი*. [European Commission. (2007). *Horizontal Environmental EC Legislation. A brief policy guide*]. http://ec.europa.eu/environment/enlarg/pdf/pubs/horizontal_en.pdf
- ევროპა. (2013). ევროკავშირის კანონმდებლობის შესრულების მონიტორინგი. [ინგლისურად]. http://europa.eu/legislation_summaries/glossary/community_law_application_en.htm
- ევროკავშირი. (2013ა). ევროკავშირის კანონმდებლობა. [ინგლისურად]. <http://europa.eu/eu-law/>
- ევროკავშირი. (2013ბ). ევროკავშირის ინსტიტუტები და სხვა ორგანოები. [ინგლისურად]. <http://europa.eu/about-eu/institutions-bodies/>
- ევროკავშირი. (2013გ). ასოცირების შეთანხმება. [ინგლისურად]. http://eeas.europa.eu/association/index_en.htm
- ევროკავშირი. (2013დ). საქართველო. [ინგლისურად]. <http://www.eeas.europa.eu/georgia/>
- ევროკომისია. (2013). ევროკავშირის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესრულების შესახებ. [ინგლისურად]. <http://ec.europa.eu/environment/enlarg/handbook/handbook.htm>
- ვან ბრეუსეგემი, ვ. და აბრამია, გ. (2011). საქართველო. ანგარიში. [ინგლისურად]. Van Breusegem, W. and Abramia, G. (2011). *Georgia. Country Report*. <http://www.environment-benefits.eu/pdfs/Georgia-ENPI%20Benefit%20Assess.pdf>
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. (2011ბ). საქართველოში ელ-მმართველობასა და ელ-გამჭვირვალობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ბაზის მოკლე მიმოხილვა. თავი II. <http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Chapter%20II%20geo.pdf>
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. (2012ა). ინფორმაციის თავისუფლება - გზამკვლევი. პირველი გამოცემა. <http://www.opendata.ge/userfiles/files/FoI%20guidebook%20IDFI.pdf>
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. (2013). გარემოზე ზემოქმედების შეფასებისგან განთავისუფლებული ორგანიზაციები (2010-2013). <http://www.idfi.ge/?cat=news&topic=426&lang=ka>
- კამპა, ე. ვარდი, ჯ. და ლეიპრანდი, ა. (2007). ევროკავშირის წყლის რესურსების პოლიტიკასთან შესაბამისობა. მოკლე გზამკვლევი ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პარტნიორებისათვის და რუსეთისათვის. [ინგლისურად]. http://ec.europa.eu/environment/enlarg/pdf/pubs/water_en.pdf
- ლანდგრეზე, რ. (2008). ევროკავშირის ჰაერის დაცვის პოლიტიკასთან შესაბამისობა. მოკლე გზამკვლევი ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პარტნიორებისათვის და რუსეთისათვის. [ინგლისურად]. http://ec.europa.eu/environment/enlarg/pdf/pubs/air_en.pdf
- მწვანე ალტერნატივა. (2011). *წყალი - პრეზიდენტის სასახლიდან ჩვენს ონკანამდე, ანუ „პრივატიზება ქართულად“ – 3*. <http://tinyurl.com/pm286un>
- მწვანე ალტერნატივა. (2012). *გარემოსდაცვითი პოლიტიკის, ინსტიტუციური მოწყობის და რეგულირების*

მექანიზმების ხარვეზების ანალიზი.

http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/REPORT_GEO_FEB2012.pdf

მწვანე ალტერნატივა. (2013). საქართველოს ჰიდროენერგეტიკის სექტორის გამოწვევები.
<http://tinyurl.com/o4nsdvp>

ნაუბაური, ა. (2007ა). ევროკავშირის ნარჩენების პოლიტიკასთან შესაბამისობა. მოკლე გზამკვლევი ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პარტნიორებისათვის და რუსეთისათვის.
[ინგლისურად].http://ec.europa.eu/environment/enlarg/pdf/pubs/waste_en.pdf

ნაუბაური, ა. (2007ბ). ევროკავშირის დაბინძურების ინტეგრირებული პრევენციისა და კონტროლის პოლიტიკასთან შესაბამისობა. მოკლე გზამკვლევი ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პარტნიორებისათვის და რუსეთისათვის.
[ინგლისურად].http://ec.europa.eu/environment/enlarg/pdf/pubs/ippc_en.pdf

ნაუმანი, ს. (2007). ევროკავშირის ბუნების დაცვის პოლიტიკასთან შესაბამისობა.
[ინგლისურად].http://ec.europa.eu/environment/enlarg/pdf/pubs/nature_en.pdf

რადიო თავისუფლება. (2013). ახსნა: რა არის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება? [ინგლისურად].
<http://www.rferl.org/content/eu-association-agreement-explained/25174247.html>

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, გარემოზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასების დამკვიდრება საქართველოში – სამუშაო ჯგუფი. (2006). სადისკუსიო მასალა: საქართველოში გარემოზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასების (Strategic Environmental Assessment, SEA) სისტემის განვითარების შესახებ.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების ხელშეკრულება. (2013). [ინგლისურად].
http://eas.europa.eu/georgia/assoagreement/pdf/ge-aa-title-vi-other-cooperation-policies_en.pdf